# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №2-3 (45-46) 2015


## თსუ – პირველი უნივერსიტეტი საქართველოში



1918 წელს კავკასიაში პირველი უნივერსიტეტი გაიხსნა. ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საფუძველი ჩაეყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლიდერია დღესაც თავისი მასშტაბითა და სწავლების ხარისხით: უნივერსიტეტის 7 ფაკულტეტზე (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა, მედიცინის, იურიდიული ფაკულტეტები) სწავლობს 20 000-ზე მეტი სტუდენტი; მათ შორის – 439 უცხოეთის მოქალაქე.

2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად თსუ-ში 4000-მდე პირველკურსელი სწავლობს. მათ შორის, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული აფხაზურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სტუდენტები. 2014/15 სასწავლო წელს ყველაზე დიდი რაოდენობის 100% გრანტის მფლობელი პირველკურსელი სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა. თსუ ლიდერია ასევე ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტების რაოდენობით.

*გაგრძელება მე-2 გვ.*

## 2015 წელი – მეცნიერების წელი თსუ-ში




2015 წელი თსუ-ში მეცნიერების ***წლად გამოცხადდა. ეს განაცხადი ახალგაზრდა და უკვე აღიარებულ მეცნიერთა, და საერთოდ, მეცნიერების მხარდაჭერას და ამ პროცესში უნივერსიტეტის სტუდენტების აქტიურ ჩართვას გულისხმობს. თსუ რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო მიღწევების მაგალითები და სტატისტიკა დღესაც უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის სიძლიერეზე მოწმობს, ამ პროცესს მეტი ინსტიტუციონალურ მხარდაჭერა სჭირდება. ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა უკვე დაიწყო გასულ წელს და წლევანდელი წლიდან კიდევ უფრო გაძლიერდება.***

2014 წლის სამეცნიერო სტატისტიკა – 2014 წლის განმავლობაში მაღალრეიტინგულ, იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, ელსევიერის სკოპუსის ბაზის მონაცემებით, გამოქვეყნდა 372 პუბლიკაცია; მათ შორის, 174 ფიზიკასა და ასტრონომიაში; 74 მათემატიკაში; 51 საინჟინრო მეცნიერებებში და 27 მედიცინაში. 2014 წელს თსუ-ში ხორციელდებოდა 212 გრანტი (ჯამური ღირებულიბით 21 867 710.8 ლარი, 249 000 ევრო და 1 026 688 აშშ დოლარი) მათ შორის:

ეროვნული (ერთობლივი კონკურსების ჩათვლით) – 193 (ჯამური ღირებულებით 21 867 710.8 ლარი, 249 000 ევრო და 317 059 აშშ დოლარი);

საერთაშორისო – 19 (ჯამური ღირებულიბით 709 629 აშშ დოლარი).

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონფერენციო გრანტების 2014 წლის კონკურსის შედეგად დაფინანსდა 22 პროექტი, მათ შორის 9 პროექტი თსუ-დან;

„მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის“ ფარგლებში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის უკრაინაში (მტცუ) 2014 წლის ერთობლივი კონკურსის შედეგად დაფინანსდა 11 პროექტი, მათ შორის 4 თსუ-დან;

2014 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის შედეგად დაფინანსდა 43 პროექტი, მათ შორის 12 – თსუ-დან;

2014 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის – „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ შედეგად დაფინანსდა 14 პრო-

*გაგრძელება მე-2 გვ.*

## საერთაშორისო ელექტრონული რესურსები – თსუ სტუდენტებისა და პროფესორებისთვის

***ყოველწლიურად ბიბლიოთეკა აახლებს როგორც საბიბლიოთეკო წიგნად ფონდს, ასევე უნივერსიტეტის სტუდენტებს, პროფესორებსა და თანამშრომლებს თსუ საბიბლიოთეკო და საერთაშორისო უმდიდრეს ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის საშუალებასაც აძლევს.***

თსუ-ს საბიბლიოთეკო ელექტრონული რესურსები შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი მოიცავს თსუ-ს ბიბლიოთეკის ფონდის დასკანერებულ დისერტაციებს, წიგნებს, ჟურნალებსა თუ გაზეთებს. მეორე ნაწილი წარმოდგენილია ორი კატეგორიის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზების ერთობლიობით – ფასიანი გამოცემების ბაზები და უფასო სარგებლობის ბაზები. ფასიანი ბაზების სარგებლობის საფასურს ძირითადად იხდის უნივერსიტეტი. ამ კატეგორიაში შედის ძალზე ცნობილი ბაზები, მაგალითად, Econlit, Jstor, Scopus. ამ ბაზების შერჩევა ხდება თსუ-ს მომხმარებელთა საჭიროებების გათვალისწინებით. უფასო ბაზების რაოდენობა მუდმივად იზრდება. ამ დღეებში თსუ-ს ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება ბიბლიოთეკის საიტზე



გამოაქვეყნებს საერთაშორისო რესურსების ახალ ბმულებს, რომლებიც გამოადგება თსუ-ს ყველა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, რომლებიც ეწევიან სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს. ასევე განთავსდება Scopus ბაზების გამოყენების ინსტრუქცია ქართულ ენაზე. ყველა შესაძლო რესურსის გამოყენება უზრუნველყოფს წვდომას

*გაგრძელება მე-3 გვ.*

## გაცვლითი და საერთაშორისო პროექტები თსუ-ში



გვ. 3

## თსუ მეგზური – 2015

ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების სიახლეებისა და აბიტურიენტთათვის არსებული შესაძლებლობების შესახებ.

გვ. 4

## თსუ მუზეუმი



გვ. 8

## „თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული „საბავშვო უნივერსიტეტის“ მიერ განხორციელებული პროექტები სკოლის მოსწავლეთათვის უნივერსიტეტის გასაცნობად ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მარტივი საშუალებაა.

გვ. 8

## კულტურა და სპორტი თსუ-ში





გვ. 7

# თსუ – პირველი უნივერსიტეტი საქართველოში

*პირველი გვერდიდან*



თსუ-ში დღეისთვის მოქმედებს 212 აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა. მათ შორის: საბაკალავრო – 65, ერთსაფეხურიანი – 3, სამაგისტრო – 90, სადოქტორო – 42, პროფესიული – 9. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა – 3.

საბაკალავრო პროგრამის ღირებულება – 2250 ლარი წელიწადში.

2015-2016 სასწავლო წელს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობაა – 3635; 1225 სტუდენტი ფინანსდება სრულად სახელმწიფოს მიერ შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით: ფილოლოგია (ქართული ენა და ლიტერატურა) 200; ისტორია- 150; არქეოლოგია – 25; ფილოსოფია – 25; განათლება – 25; მათემატიკა – 100; ფიზიკა – 100; ქიმია – 100; ბიოლოგია – 100; ეკონომიკა – 400; სხვა მიმართულებებზე ვრცელდება 70%, 50% და 30 %-იანი სახელმწიფო გრანტი;

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობაა – 396 (საქართველოს აფხაზურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი მოსახლეობისთვის);

უნივერსიტეტში სტუდენტებს ემსახურება 82 სასწავლო ლაბორატორია; 8 რესურს ცენტრი; 9 კომპიუტერული კლასი; ბიბლიოთეკა 3,5 მილიონზე მეტი წიგნადი ფონდით; 9 სამკითხველო დარბაზი; მულტიმედია ცენტრი; სახვითი ხელოვნების სტუდია; მუზეუმი უნიკალური ექსპონატებით; მინი ფეხბურთის, მკლავჭიდის, მშვილდოსნობისა და მაგიდის ჩოგბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, ათლეტიზმის დარბაზები; ორი სააქტო დარბაზი – I და VIII კორპუსებში; ქორეოგრაფიული დარბაზი; „თსუ გორდელა", სტუდენტური თეატრი „სხვენი"; ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტის" სარეპეტიციო დარბაზები. სტუდენტებს აქვთ არაერთ სპორტულ წრესა და კულტურულ ღონისძიებებში ჩართვის შესაძლებლობა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს შემდეგი უცხოენოვანი და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

***საბაკალავრო უცხოენოვანი პროგრამები:*** სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი: ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (ქართულ-რუსულენოვანი); ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი: კავკასიოლოგია (რუსულენოვანი); რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი); ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი; კომპიუტერული მეცნიერებები (ფრანგულენოვანი); მედიცინის ფაკულტეტი: „მედიცინა" (ინგლისურენოვანი).

უცხოენოვანი სამაგისტრო პროგრამები: იურიდიული ფაკულტეტი: საჯარო მმართველობა (ქალაქ შპაიერის (გერმანია) ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტთან); კიოლნის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი: კავკასიოლოგია (რუსულენოვანი), სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე); ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი: ეკონომიკა (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ISET ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა); „საერთაშორისო საწარმოთა მართვა" (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იენის (გერმანია) ფრიდრიჰ შილერის სახელობის უნივერსიტეტის ორმაგი ხარისხის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი: გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ინგლისურენოვანი), სამედიცინო მოლეკულური ბიოლოგია (ინგლისურენოვანი); ვესტმინსტერის უნივერსიტეტი; ელექტრული ინჯინერია (ინგლისურენოვანი, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა); კომპიუტერული ინჟინერია (ინგლისურენოვანი, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა); ქიმია-ბიოლოგია (ინგლისურენოვანი, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა).

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი: გენდერის კვლევა (ინტერდისციპლინალური, ინგლისურენოვანი); ევრაზიისა და კავკასიის კვლევები (ინგლისურენოვანი); ევროპისმცოდნეობა (ინტერფაკულტატური, ინგლისურენოვანი).

# 2015 წელი – მეცნიერების წელი თსუ-ში

*პირველი გვერდიდან*

ექტი, მათ შორის თსუ-ის მონაწილეობით 4.

2014 წელს უნივერსიტეტმა დაიწყო პოსტდოქტორანტურის პროექტი – პოსტდოქტორანტურის პროექტის ფარგლებში ახლადდამთავრებულ დოქტორანტებს ეძლევათ უნივერსიტეტში დასაქმებისა და მეცნიერული ზრდის საშუალება. ამ ეტაპზე გამოცხადებულია კონკურსი 6 ვაკანსიაზე, კონკურსში მონაწილეობს 8 პირი, გადაწყვეტილება მიღებული იქნება მარტისთვის.

2014 წლიდან დაფუძნდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო ფორუმი – ფორუმის ფარგლებში ყველა ფაკულტეტიდან შეირჩევა საუკეთესო სამეცნიერო მოხსენების ავტორი აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, ბაკალავრი, მაგისტრი და დოქტორანტი. ფაკულტეტის მიერ შერჩეული აკადემიური პერსონალისათვის ერთ მოხსენებაზე გაიცემა 5 000 ლარიანი ჯილდო; ბაკალავრისთვის – 500 ლარი, მაგისტრანტისთვის – 1 000 ლარი, დოქტორანტისთვის 1 500 ლარი.

თსუ-ში იგეგმება მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების დაწყება, რომლის ფარგლებშიც, დღეს არსებული დაფინანსების გარდა, უნივერსიტეტი გამოყოფს დაფინანსებებს ცალკეული ფაკულტეტებისთვის - ჯამური დაფინანსება 525 ათასი ლარი, საიდანაც თითოეულ ფაკულტეტს გამოეყოფა 75 ათასი ლარი;

„ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, ხელი შევუწყოთ სტუდენტების ჩართულობას სამეცნიერო საქმიანობაში და ამიტომ შევქმენით სპეციალური ფონდი, რომელიც დააფინანსებს მიზნობრივ სამეცნიერო პროგრამებს. ახალგაზრდა მეცნიერების ხელშეწყობის მიზნით გრძელდება წინა წელს დაწყებული პროგრამები, რომელიც არის წახალისება საუნივერსიტეტო მეცნიერების, პროფესორებისა და სტუდენტების,"- განაცხადა აღნიშნული იდეის კომენტირებისას თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

თსუ აერთიანებს 14 სამეცნიერო ინსტიტუტსა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკას. მეცნიერების ჯამური დაფინანსება 2015 წელს 2014 წელთან შედარებით იზრდება 2,5-ჯერ (4 458 600 ლარიდან 11 243 020 ლარამდე).

თსუ-აკადემიური ეთიკის დარღვევების წინააღმდეგ – თსუ რექტორი 2015 წლის სამეცნიერო წლად გამოცხადებასთან ერთად, საუბრობს აკადემიური ეთიკის დარღვევებზე. მათ შორის პლაგიატზე, კომპილაციაზე, აკადემიური ეთიკის დარღვევის ფაქტებზე რეაგირებასა და სხვა დარღვევებზე.

„ეს პრობლემა საქართველოში დიდი ხანია დგას. უნივერსიტეტს არ გააჩნდა არანაირი ინსტრუმენტი პლაგიატთან ბრძოლის, ამიტომ ჩვენ გვინდოდა არა მარტო პლაგიატის, არამედ ნებისმიერი სამეცნიერო ეთიკის დარღვევის ფაქტზე ყოფილიყო რეგულაცია. ეს რეგულაცია შემუშავებული იქნა 6 თვიანი მუშაობის საფუძველზე, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი თუ რა ტიპის გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული სამეცნიერო ეთიკის დარღვევასთან დაკავშირებით. აკადემიური ეთიკის დარღვევის ფაქტს იკვლევს აკადემიური პერსონალისგან შექმნილი კომისია, ხოლო გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო. სულ შემოვიდა 5 საჩივარი, სამზე უკვე მიღებულია გადაწყვეტილება და აქედან მხოლოდ ერთ შემთხვევაზე დადასტურდა პლაგიატი, დანარჩენ ორ საჩივარზე მიმდინარეობს კომისიის მუშაობა", – აღნიშნავს თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა.

***

ყველა ღონისძიება, რომელსაც უნივერსიტეტი სამეცნიერო საქმიანობის ხელშესაწყობად, მისი ხარისხის ასამაღლებლად მიმართავს, საბოლოო ჯამში უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებას ემსახურება, რათა თსუ-ში როგორც სამეცნიერო საქმიანობა, ისე სწავლა ნებისმიერი ადამიანისთვის კიდევ უფრო საამაყო იყოს.

# დავით უსუფაშვილმა თსუ-ში „წლის პირველი საჯარო ლექცია" წაიკითხა



თსუ-ში „წლის პირველი საჯარო ლექციის" ტრადიციას ცაეყარა საფუძველი. პირველი ლექციის ჩატარების წესის თანახმად, საჯარო ლექციის გამართვის უფლება ენიჭება უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს - მოქმედ აკადემიურ პერსონალს, უნივერსიტეტის ემერიტუსს, ცნობილ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს, ხელოვნებისა და კულტურის გამოჩენილ წარმომადგენელს.

საჯარო ლექცია ტარდება ყოველწლიურად 12 თებერვალს. 1918 წელს, სწორედ 12 თებერვალს (ძველი სტილით 30 იანვარი) წაიკითხა ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის პირველი ლექცია "ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფო მწერლობასა და ცხოვრებაში" (ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში).

2015 წლის პირველი ლექცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშილმა წაიკითხა თემაზე „ჩვენი სახელმწიფო".

დავით უსუფაშვილის საჯარო ლექციაზე დამსწრეებს დაურიგდათ თსუ გამომცემლობის მიერ გამოცემული ივანე ჯავახიშვილის პირველი ლექციის ბეჭდური ვერსია. თავად პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის საჯარო ლექცია, „ჩვენი სახელმწიფო", ბეჭდური სახით 2016 წლის 12 თებერვლისთვის გამოიცემა.

# საერთაშორისო ელექტრონული რესურსები – თსუ სტუდენტებისა და პროფესორებისთვის

პირველი გვერდიდან

ასი ათასობით წიგნზე, ჟურნალების სტატიებზე, ციტირების იდექსებსა და სხვა საკითხავ მასალაზე.

ტექნიკურად ბაზებში შეღწევა ძალზე მარტივია – უნივერსიტეტის კომპიუტერებიდან და თსუ-ს კორპუსებში არსებული WiFi გამოყენებით რესურსზე პირდაპირი შესვლის გზით (მხოლოდ ზოგიერთი ბაზა ითხოვს მარტივ რეგისტრაციას სააღრიცხვო ჩანაწერისა და პაროლის მისაღებად). ძალიან მოსახერხებელია, რომ წვდომა უნევერსიტეტის სივრცის მიღმაც ხდება უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართის გამოყენებით.

ჩვენ ხელთ არსებული სტატისტიკის თანახმად 2014 წელს Scopus ბაზებით ისარგებლა 4500 მომხმარებელმა. ხოლო EBSCO-ს ბაზებით – დაახლოებით 700-მა მომხმარებლემა. ამათგან რამდენი იყო აკადემიური პერსონალი და რამდენი – სტუდენტი, შეუძლებელია სტატისტიკის ცალ-ცალკე მიღება.

ბაზებით დაიტერესება იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მაღალკვალიფიციურ ნაშრომს წერს მეცნიერი და რამდენად მასშტაბური განათლების მიღება უნდა სტუდენტს.

თსუ ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსებიდან ერთ-ერთი ყველაზე მრავალპროფილური მონაცემთა ბაზაა - EBSCOHost (www.search.epnet.com), რომლის მეშვეობითაც ხელმისაწვდომია სხვადასხვა დარგის სამეცნიერო ლიტერატურა, ნაშრომთა ანოტაციები და მიმოხილვითი ხასიათის მასალები. იგი მომხმარებელს სთავაზობს მრავალ დაპატენტებულ და პოპულარულ სრულტექსტიან მონაცემთა ბაზას ინფორმაციის წამყვანი მომწოდებლებისგან. ელექტრონული ბაზის - Royal Society Journal Collection (http://royalsocietypublishing.org) - კოლექციაში შედის რეფერირებადი ჟურნალები ფიზიკისა და ბიოლოგიის მეცნიერებათა დარგში. სამედიცინო ხასიათის ელექტრონული რესურსი თსუ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოიძიონ – ew England Journal of Medicine (www.nejm.org). მასში თავმოყრილია ბიოსამედიცინო მეცნიერებასა და კლინიკურ პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ახალი სამედიცინო კვლევის შედეგები, რეფერირებული სტატიები და თემატური ანგარიშები. ასევე სამედიცინო სფეროს მრავალფეროვანი მასალებია – Oxford Textbook of Medicine (www.oxfordmedicine.com) – ბაზაში, რომლებიც ეხმარება სტუდენტებსა და დარგის სპეციალისტებს. ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული წიგნები და ჟურნალები, ასევე დიაგრამები, სქემები და ა.შ. BioOne (www.bioone.org) - შეიცავს მასალებს ბიოლოგიის, ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის სფეროებიდან. მომხმარებელს აქვს საშუალება გაეცნოს კვლევებს, რომლებსაც ამერიკის ბიოლოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის წევრი სამეცნიერო საზოგადოებები, მუზეუმები და სხვა კვლევითი ორგანიზაციები აქვეყნებენ. დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს, მოიძიოს სიტყვების მნიშვნელობა, ეტიმოლოგია, სინონიმები, გამოყენების სპეციფიკა და ა.შ. ბაზაში: Oxford Online Dictionary (www.oed.com). ეს ონლაინ-ლექსიკონია, რომელიც შეიცავს მილიონობით სიტყვას. OECD-Library (www.oecd-ilibrary.org) - მოიცავს მასალებს ისეთი დარგებიდან როგორიცაა: ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, რეგიონული და ურბანული განვითარება, ფინანსები, ვაჭრობა, განათლება, სოციალური მეცნიერებანი, ტექნოლოგიიები, ჯანდაცვა, ტრანსპორტი, და ა.შ. ელექტრონული ბაზა – Cambridge Journals Online (www.journals.cambridge.org), მომხმარებლებს სთავაზობს კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ 300-ზე მეტი დასახელების სამეცნიერო ჟურნალს, რომლებშიც სათანადოდაა გაშუქებული თანამედროვე სამეცნიერო პრობლემატიკა. გარდა ამისა, თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის შუამდგომლობით, უკანასკნელ წლებში შეძენილი და ხელმისაწვდომია შემდეგი ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები: JSTOR (www.jstor.org) ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ელექტრონული ბაზა, რომელიც შეიცავს ელექტრონულ წიგნებსა და ჟურნალებს შემდეგი სფეროებიდან: ბიზნესი და ეკონომიკა, ჰუმანიტარული დისციპლინები, სამართალი, მედიცინა, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებანი და სხვ. HINARI (Health Access to Research Initiative) (www.who.int/hinari) - მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ დაარსებული ელექტრონული სამეცნიერო ბაზა გახლავთ, რომელიც მოიცავს მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს კოლექციას ბიომედიცინისა და ჯანდაცვის სფეროებიდან. ელექტრონულ ბაზაში სულ დაცულია 150-ზე მეტი გამომცემლობის მასალები. მათ შორისაა - Blackwell, Elsevier Science, Springer Verlag, the Harcourt Worldwide STM Group, Wolters KluwerInternational Health & Science და ა.შ. HINARI მოიცავს სულ 11.400 ელექტრონულ ჟურნალს 30 ენაზე და 18.500 ელექტრონულ წიგნს. გარდა ამ ბაზებისა, თსუ-ს სტუდენტებისთვის და პროფესორ-მასწავლებლებისთვის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია უფასო ელექტრონული რესურსებიც, სადაც თითქმის ყველა პროფესიის მქონე ადამიანისთვის სასურველი ლიტერატურის მოძიებაა შესაძლებელი. თსუ-ს ბიბლიოთეკაში სამომავლოდ იგეგმება საკმაოდ მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი საბიბლიოთეკო ბაზის – Wiley-blackwell standard journal collection – შეძენა. აღნიშნული ბაზა მრავალპროფილური და პოლითემატურია და მოიცავს ტექნიკურ, ჰუმანიტარულ, სოციალურ, მედიცინის მეცნიერებათა დარგებში განხორციელებული კვლევების ელექტრონულ რესურსებს. საუნივერსიტეტო საზოგადოების ამოცანაა მსოფლიოს გამორჩეული და წამყვანი გამომცემლობის Elsevier-ის, ან Thomson Reuters-ის, ელექტრონული რესურსების წვდომის უზრუნველყოფაც.

მკლევრებსა და სტუდენტებს სამეცნიერო-კველევითი სამუშაოების მაღალ დონეზე განხორციელებისას უნივერსიტეტი მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობით მხოლოდ ხელს უწყობს მათ.

# გაცვლითი და საერთაშორისო პროექტები თსუ-ში

საერთაშორისო და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის საშუალება თსუ სტუდენტებისთვის ერთ-ერთი იმ შესაძლებლობათაგანია, როლის გამოყენებასაც ისინი ყოველწლიურად წარმატებით ახერხებენ.

2006 წლიდან დღემდე თსუ-ს სასწავლო კურსი ევროპულ უმაღლეს სასწავლებელში გაცვლითი პროგრამებით 636-მა სტუდენტმა გაიარა. აქედან, მხოლოდ 2014-2015 წლის გაცვლით პროგრამებში 132 სტუდენტი მონაწილეობს, რაც წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალი მაჩვენებელია. ეს მხოლოდ იმ სტუდენტთა მონაცემია, რომლებმაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ ადმინისტრირებულ კონკურსებში მიიღეს მონაწილეობა და გაიმარჯვეს. გაცვლით პროგრამებს დამოუკიდებლად ახორციელებენ უნივერსიტეტის ფაკულტეტებიც. აქედან გამომდინარე, უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების გაცვლით პროგრამებში თსუ-ს გაცილებით მეტი სტუდენტი იღებს მონაწილეობას. ამჯერად მხოლოდ მათ ნაწილს შევეხებით:



ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი), ლატვიის უნივერსიტეტი (ლატვია), ვილნიუსის უნივერსიტეტი (ლიტვა), კომენიუსის უნივერსიტეტი ბრატისლავაში (სლოვაკეთი), ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტი (გერმანია), ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტი (ლიტვა), პრაღის ჩარლზის უნივერსიტეტი (ჩეხეთი), მაზარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი), ვარშავის უნივერსიტეტი (პოლონეთი), ლაიდენის უნივერსიტეტი (ჰოლანდია), გუმილოვის ევრაზიის ნაციონალური უნივერსიტეტი (ყაზახეთი), ოსტლფოლდის საუნივერსიტეტო კოლეჯი (ნორვეგია), ოსლოს უნივერსიტეტი (ნორვეგია), სალერნოს უნივერსიტეტი (იტალია), კა'ფოსკარის უნივერსიტეტი (იტალია), საარლანდის უნივერსიტეტი (გერმანია), იენას უნივერსიტეტი (გერმანია), გისენის უნივერსიტეტი (გერმანია), მიუნხენის უნივერსიტეტი (გერმანია), მეზერბურგის უნივერსიტეტი (გერმანია), პოტსდამის უნივერსიტეტი (გერმანია) – ეს მხოლოდ ნაწილია იმ უნივერსიტეტებისა, სადაც ბოლო წლებში თსუ სტუდენტები იღრმავებდნენ ცოდნას. თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი თეა გერგედავა განმარტავს, რომ: „გაცვლითი პროექტები საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს კიდევ უფრო გააფართოვოს საერთაშორისო თანამშრომლობათა არეალი და თსუ-ს სტუდენტებსა და პროფესორებს მისცეს მეტი შესაძლებლობა მობილობისათვის". ამჟამად თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ადმინისტრირებას უწევს TEMPUS-ის - 3, ERASMUS Mundus-is - 6, EACEA მარი კურის - 1 პროექტს, ასევე, ორმხრივ საუნივერსიტეტო გაცვლებს – ლეიდენის უნივერსიტეტში არსებულ ქართული ენის, კულტურისა და საზოგადოების კათედრაზე და „თსუ-ს სამეწარმეო სკოლა სტუდენტებისათვის"-ში (ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად). 2013 წლიდან თსუ ჩაერთო ახალ პროექტებში: ERASMUS Mundus EMBER, Erasmus Mundus HERMES, TEMPUS PACT (მენეჯერთა უნარების განვითარება კავკასიაში), TEMPU PICASA (ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა აღმოსავლეთ სამეზობლო რეგიონის ქვეყნებში). ამასთანავე, ამჟამად უნივერსიტეტში ხორციელდება ტემპუსის ერთ-ერთი დიდი პროექტი – „უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში მმართველობისა და მენეჯმენტის ცვლილება (LaMANCHE), რომელიც 36 თვიანია და მოიცავს 2012-2015 წლებს. მისი კოორდინატორია ბულგარეთის საერთაშორისო საუნივერსიტეტო კოლეჯი. პროექტის მიზანია უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში მართვის პოლიტიკის მოდერნიზაციის ხელშეწყობა მენეჯმენტის უნარების განვითარებით, დიალოგის ინიცირება უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმებზე შესაბამის ჯგუფებში. იგი პროექტის მონაწილეებს საშუალებას აძლევს შეისწავლოს ლიდერობის და მართვის უნარი, მართვის პრაქტიკა, ხელი შეუწყონ ტრანსნაციონალური ქსელის და ერთობლივი პრობლემის გადაჭრას და ა.შ.

თსუ-ს დოქტორანტები, პროფესურა და ადმინისტრაცია უკვე ჩართულები არიან IRSES-ის პროექტში „შესაძლებლობები და ლიმიტები, გამოწვევები და წინააღმდეგობები ევროკავშირის საგანმანათლებლო გარემოს ცენტრების სტანდარტებზე გადასვლისას, მოლდოვასა და საქართველოსთვის. ევროკავშირში მიღებამდე საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება (EU-PREACC)", რომელიც 2013 წლის 1 მარტს დაიწყო და 2017 წლის 28 თებერვლამდე გაგრძელდება. მისი ძირითადი პარტნიორები არიან ტარტუს უნივერსიტეტი, ვილნიუსის და მოლდოვას სახელმწიფო უნივერსიტეტები. იგი ოთხი სამუშაო პაკეტისგან შედგება და იმ რეფორმებს უკავშირდება, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანებასთანაა დაკავშირებული.

Erasmus Mundus არის თანამშრომლობისა და მობილობის პროგრამა უმაღლესი განათლების სფეროში, რომელიც მიმართულია ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ხარისხის გაუმჯობესებისკენ და ხელს უწყობს დიალოგსა და ურთიერთგაგებას ხალხსა და კულტურებს შორის მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობის საფუძველზე. ამასთანავე, ერაზმუს მუნდუსი ხელს უწყობს ევროპის უნივერსიტეტებსა და მესამე ქვეყნების უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობას. მობილობის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე აკადემიურ წელს 70 ქართველი სტუდენტი, მკვლევარი და უნივერსიტეტის თანამშრომელი გაემგზავრა პარტნიორ უნივერსიტეტებში სასწავლებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ერაზმუს მუნდუსს ჰყავს 3 სამიზნე ჯგუფი და მის ფარგლებში ხდება ხუთი კატეგორიის ინდივიდუალური მობილობის პროგრამის დაფინანსება: საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, პოსტ-სადოქტორო, აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი.

თსუ-ს სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია სტიპენდიები, რომელიც დაწესებულია უცხოეთში სწავლებისათვის. ასეთი პროგრამაა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ლუდვიგ მაქსიმილიანის ქირურგიის უნივერსიტეტში (მიუნხენი) და ხემნიცის კლინიკაში (გერმანია), სადაც სწავლება ხდება გერმანულ და ინგლისურ ენებზე.

უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის სტიპენდიები აქვთ დაწესებული საქართველოში აკრედიტირებულ საელჩოებს, კერძოდ, ეგვიპტის, ჩეხეთის რესპუბლიკის, თურქეთის რესპუბლიკის, ჩინეთის მთავრობის სტიპენდიები. თეა გერგედავას განმარტებით, სასწავლო არეალის გაფართოების მიზნით, გარდა დონორი ორგანიზაციების პროექტებისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყნის სასწავლო დაწესებულებასთან თანამშრომლობს, რაც მიზნად ისახავს პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების, კვლევითი მასალების, საგანმანათლებლო და განვითარების პროგრამების საერთაშორისო გაცვლაში ხელშეწყობას. ესენია: ავსტრიის გრაცის უნივერსიტეტი; არგენტინის ლა პლატას უნივერსიტეტი, აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ილინოისის, ნიუ ჯერსის, ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტები და პეპერდინის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა; ბულგარეთის წმ. კლიმენტ ოჰრიდსკის სახელობის სოფიას უნივერსიტეტი, ბორდოს (საფრანგეთი), ლატვიის, იენის უნივერსიტეტები და ა.შ. იმისათვის, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები მუდმივად იყვნენ ჩართულნი საერთაშორისო განათლების სფეროში, თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი სისტემატურად მუშაობს ახალი მიმართულებებით. გასულ წელს მან გააფართოვა თანამშრომლობის არეალი და ჩინეთი, სამხრეთ აფრიკა და არგენტინა მოიცვა. გარდა იმისა, რომ თსუ-ს სტუდენტები სწავლების ასამაღლებლად სპეციალურ კურსს გადიან უცხოეთის უნივერსიტეტებში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებიც სწავლობენ. მხოლოდ 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა 26 უცხოელ გაცვლით სტუდენტს გაუწია მასპინძლობა (14 სტუდენტი ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში, 12 – ერაზმუს მუნდუსის პროექტის ფარგლებში).

# თსუ მეგზური – 2015

## ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ინფორმაცია ფაკულტეტის შესახებ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მისია არის: მაღალი ხარისხის განათლების უზრუნველყოფა თანამედროვე ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების განხორციელება; კვლევაზე დაფუძნებული სწავლება; მოტივირებული და ნიჭიერი სტუდენტების მიზიდვა და მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობა; კვლევებისა და სწავლების ინტერნაციონალიზაცია. ფაკულტეტი აერთიანებს 8 დეპარტამენტს, 18 სამეცნიეროკვლევით ინსტიტუტს, 33 სასწავლო-კვლევით ლაბორატორიას. ძირითად სასწავლო და კვლევით საქმიანობას ახორციელებს მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერებების, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოლოგიის, გეოგრაფიის, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტები. სამეცნიერო კვლევების თვალსაზრისით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი უდავო ლიდერია, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისე საქართველოში. ამაზე მეტყველებს ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდების მიერ დაფინანსებული სამეცნიერო და სასწავლო პროექტებისა და მაღალრეიტინგულ საერთაშორისო გამოცემებში პუბლიკაციათა რაოდენობა; ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებზე ფაკულტეტის სახელით წარდგენილი ასობით მოხსენება. ფაკულტეტის სამეცნიერო პოტენციალს სრულად წარმოაჩენს ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია (http:// conference.ens-2013.tsu.ge/, http://conference.ens-2014. tsu.ge/, http://conference.ens-2015.tsu.ge/). მასში პროფესორებთან ერთად მონაწილეობენ დოქტორანტურის, მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის სტუდენტები.

***საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:*** კომპიუტერული მეცნიერება; მათემატიკა; ფიზიკა; ქიმია; ბიოლოგია; გეოგრაფია; გეოლოგია; ელექტრონიკა; გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია; კომპიუტერული მეცნიერება (ფრანგულ-ქართული); ეკოლოგია.

***2015-2016 სასწავლო წელს ფაკულტეტზე პირველად ამოქმედდება სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამი საბაკალავრო პროგრამა:***

ელექტრული ინჟინერია; კომპიუტერული ინჟინერია; ქიმია-ბიოქიმია.

***საბაკალავრო პროგრამებზე მიღების პროცედურები***

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების უფლებით სარგებლობენ ერთიანი ეროვნული გამოცდების წესით ჩარიცხული აბიტურიენტები.

***სავალდებულო გამოცდები:***

ზოგადი უნარები (კოეფიციენტი 4); ბიოლოგია/მათემატიკა/ქიმია/გეოგრაფია/ფიზიკა (კოეფიციენტი 6); უცხო ენა (კოეფიციენტი 1); ქართული ენა და ლიტერატურა (კოეფიციენტი 1);

***ადგილების კვოტა არჩევითი საგნების მიხედვით ქართულენოვანი და ფრანგულ-ქართული პროგრამებისთვის:***

330 მათემატიკა, 65 ფიზიკა, 100 ქიმია, 120 ბიოლოგია, 80 გეოგრაფია; სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამებისთვის: 110 მათემატიკა, 40 ქიმია. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებს პირველი სასწავლო წლის ბოლოს მოეთხოვებათ TOEFL-ის გამოცდის ჩაბარება სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მინიმალური კომპეტენციით.

***მისაღები კონტინგენტი:*** სულ ფაკულტეტზე 2015-2016 სასწავლო წლის საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტია 845. მათ შორის ქართულენოვანი და ფრანგულ-ქართული პროგრამებისთვის გამოიყო 695 ადგილი, ხოლო სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამებისთვის – 150 ადგილი. 2015 წელს 100%-იანი სახელმწიფო პროგრამული დაფინანსება გამოიყო საბაკალავრო პროგრამებზე: მათემატიკა – 100 ადგილი, ფიზიკა – 100 ადგილი, ქიმია – 100 ადგილი, ბიოლოგია – 100 ადგილი. გარდა ამისა, კვლავ ძალაში დარჩა 100%იანი, 70%-იანი და 50%-იანი სასწავლო გრანტის მოპოვების შესაძლებლობაც. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებზე სწავლის საფასურია 7500 ამერიკული დოლარის ეკვივალენტი ლარში.

***დასაქმების სფერო***: განათლების, მეცნიერების, შესაბამისი პროფილის სასწავლო – კვლევითი დაწესებულებები, მართვის სახელმწიფო ორგანოები, ბიზნესის სფერო.

***დამატებითი ინფორმაცია:*** სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებზე სასწავლო პროცესი წარიმართება ინგლისურ ენაზე. წარმატებული სტუდენტები მიიღებენ სტიპენდიას. მათთვის აგრეთვე გათვალისწინებულია სასწავლო მივლინება სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროგრამის კურსდამთავრებულები თსუ-ს დიპლომთან ერთად მიიღებენ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომს. საბაკალავრო პროგრამა "კომპიუტერული მეცნიერება" (ფრანგულ-ქართული) ხორციელდება უცხოელი კოლეგების მონაწილეობით და სწავლის დასრულების შემდეგ გაიცემა 2 დიპლომი: თსუ-ს დიპლომი და საფრანგეთის ეროვნული დიპლომი ინფორმატიკაში. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სტუდენტთა სამეცნიერო წრეები. ფაკულტეტი ფინანსურად ხელს უწყობს წარმატებულ სტუდენტთა მონაწილეობას სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებებში.

კონკურსის საფუძველზე ბაკალავრიატის წარჩინებული სტუდენტები სემესტრულად იღებენ პრეზიდენტის სტიპენდიას. ზოგიერთ პროგრამაზე დაწესებულია სახელობითი სტიპენდიები; ასევე კონკურსის საფუძველზე ფაკულტეტი ფარავს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის წარჩინებული სტუდენტების სწავლის საფასურს. სწავლის გადასახადის თვალსაზრისით განსაკუთრებით შეღავათიანი პირობებია დაწესებული დოქტორანტებისათვის.

***საკონტაქტო ინფორმაცია:***

მისამართი: 0179, თბილისი,
ი. ჭავჭავაძის გამზ. №3,
თსუ II კორპუსი.
ტელეფონი: (+995 32) 2 29 08 07 (დეკანატი).

## ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

***ფაკულტეტის მისია***: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია 1918 წლიდან იწყება და ქართული უნივერსიტეტის გახსნას უკავშირდება. დღევანდელი სახით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი 2005 წელს შეიქმნა ყოფილი ფილოსოფიის, ფილოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ისტორიის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტების ბაზაზე.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მისიაა ტოლერანტული და კონკურენტუნარიანი სასწავლო და კვლევითი გარემოს შექმნა; ინტელექტუალური, მოქალაქეობრივი, კულტურული და მორალურ-ზნეობრივი ფასეულობების დანერგვა; კვლევის შედეგებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების ინტეგრირება საუნივერსიტეტო სივრცეში.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამოცანაა ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების მხარდაჭერა, სასწავლო პროცესის მუდმივი სრულყოფა; იდეების თავისუფლების, შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარების ხელშეწყობა; ერთი მხრივ, ტრადიციების შენარჩუნება და გადაცემა, ხოლო მეორე მხრივ, ინოვაციებისა და თანამედროვე გამოწვევების მიღება და საზოგადოების აქტუალური და ცვალებადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პრიორიტეტია ჰუმანიტარულ დარგებში მეცნიერული კვლევების განვითარება და კვლევაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო საქმიანობა.

ფაკულტეტზე ამჟამად სწავლობს 4543 სტუდენტი და მუშაობს 187 პროფესორი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხორციელდება შემდეგი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:

***ძირითადი და დამატებითი სპეციალობები:*** ფილოსოფია; ისტორია; არქეოლოგია; ეთნოლოგია; კულტურის კვლევები; ხელოვნებათმცოდნეობა; კავკასიოლოგია; არაბისტიკა; ირანისტიკა; ასირიოლოგია; თურქოლოგია; არმენოლოგია; ებრაისტიკა-არამეისტიკა; ქართული ფილოლოგია; ინგლისური ფილოლოგია; გერმანული ფილოლოგია; სკანდინავიური ფილოლოგია; ფრანგული ფილოლოგია; იტალიური ფილოლოგია; ესპანური ფილოლოგია; რუსული ფილოლოგია; ახალი ბერძნული ფილოლოგია; კლასიკური ფილოლოგია; ბიზანტიური ფილოლოგია; ამერიკისმცოდნეობა; სახვითი ხელოვნება; ტელე-კინო ხელოვნება; კავკასიოლოგია (რუსულენოვანი); რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი).

***დამატებითი სპეციალობები:*** გამოყენებითი ენათმეცნიერება; შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობა; თეოლოგია.

***პროფესიული და სხვა საგანმანათლებლო პროგრამები:*** ტანსაცმლის დიზაინი (IV და V საფეხური); კინო-ტელე რეჟისურა (IV და V საფეხური); ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და აფხაზურენოვანი სტუდენტებისათვის).

***საბაკალავრო პროგრამებზე მიღების პროცედურები:*** საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების უფლებით სარგებლობენ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული აბიტურიენტები.

აბიტურიენტებმა უნდა ჩააბარონ გამოცდა 3 სავალდებულო საგანში (ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხო ენა) და ერთ არჩევით საგანში – ლიტერატურა ან ისტორია. თითოეულ საგანში დაწესებულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: ქართული ენა და ლიტერატურა – 40%+1; უცხო ენა – 40%+1; ზოგადი უნარები – 30%+1; ლიტერატურა/ისტორია – 40%+1.

***მისაღები კონტინგენტი:*** 2015-2016 სასწავლო წელს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი საბაკალავრო პროგრამებზე მიიღებს 700 აბიტურიენტს. მათგან 400 აბიტურიენტს სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ პროგრამებზე.

***სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული პროგრამებია:*** ქართული ფილოლოგია – მისაღები კონტინგენტი 200 აბიტურიენტი. ისტორია – მისაღები კონტინგენტი 150 აბიტურიენტი. არქეოლოგია – მისაღები კონტინგენტი 25 აბიტურიენტი. ფილოსოფია – მისაღები კონტინგენტი 25 აბიტურიენტი.

***დასაქმება:*** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს საჯარო დაწესებულებებში, მართვის სახელმწიფო ორგანოებში, განათლების, მეცნიერების, კულტურის სფეროში, შესაბამისი პროფილის სასწავლო-კვლევით დაწესებულებებში, სკოლებში, ინსტიტუტებში, მუზეუმებში, არქივებში, გამომცემლობებში, ბიბლიოთეკებში, ტურისტულ ფირმებში, სამხატვრო გალერეებში, მასმედიაში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში და სხვ.

***დამატებითი ინფორმაცია:*** ფაკულტეტზე პრიორიტეტულია ენების სწავლება. ფაკულტეტი სტუდენტებს სთავაზობს შემდეგი ენების შესწავლას: ქართველური ენები (ქართული, სვანური, მეგრული, ლაზური); ევროპული ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, იტალიური, ახალი ბერძნული, ნორვეგიული, შვედური); სლავური ენები (რუსული, პოლონური, ჩეხური, ბულგარული); აღმოსავლური ენები (არაბული, სპარსული, თურქული, ებრაული, იაპონური, ჩინური); კლასიკური ენები (ლათინური, ძველი ბერძნული); კავკასიური და კავკასიაში გავრცელებული ენები (აფხაზური, ადიღეური, ჩეჩნური, ხუნძური, უბიხური, თაბასარანული, უდიური, ბაცბური, ინგუშური, სომხური, ოსური, აზერბაიჯანული).

***სტუდენტური ცხოვრება:*** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს საშუალება აქვთ, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა განამტკიცონ სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციებში. მომავალ არქეოლოგებს, ფოლკლორისტებს, ეთნოლოგებს, ქართველური ენების სპეციალისტებს, ხელოვნებათმცოდნეებს ყოველ ზაფხულს შესაძლებლობა ეძლევათ, გაემგზავრონ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, შეაგროვონ ემპირიული მასალა და შეიძინონ პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევები. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე წარმატებით ფუნქციონირებს: არქეოლოგიის სასწავლო ლაბორატორია, სადაც სტუდენტები სწავლობენ არქეოლოგიური მასალის ლაბორატორიულ დამუშავებას; სამხატვრო სტუდია; ტელე-კინო ხელოვნების სასწავლო სტუდია.

ფაკულტეტზე ხშირად ეწყობა მრავალფეროვანი სტუდენტური ღონისძიებები: სამეცნიერო კონფერენციები, ლიტერატურული საღამოები, გამოფენები, თემატური შეხვედრები, საჯარო ლექციები, ფილმების ჩვენება და განხილვა, სტუდენტური კონკურსები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მუშაობს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის სტუდენტთა 20 სამეცნიერო წრე.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები სტაჟირებას გადიან სახელმწიფო დაწესებულებებსა და კერძო სტრუქტურებში, ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციაში.

წარჩინებულ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში გერმანიის, საფრანგეთის, საბერძნეთის, იტალიის, პოლონეთის, უნგრეთის, ლატვიის, ესტონეთის, თურქეთის, ეგვიპტის, ირანისა და სხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებსა და საზაფხულო სკოლებში.

***საკონტაქტო ინფორმაცია:***

მისამართი: 0179, თბილისი,
ი. ჭავჭავაძის გამზ. №1, თსუ I კორპუსი.
ტელ: (+995 32) 2 25 04 85 (დეკანატი)
ელ. ფოსტა: humanities@tsu.ge
ვებ-გვერდი: http://www.tsu.edu.ge/ge/faculties/humanities/news

## სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

***ინფორმაცია ფაკულტეტის შესახებ:*** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი შედგება 5 სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებისგან: პოლიტიკის მეცნიერება, ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია, საერთაშორისო ურთიერთობები, საზოგადოებრივი გეოგრაფია, სოციალური მუშაობა და სოციოლოგია.

ფაკულტეტზე სწავლობს 2809 სტუდენტი, მათ შორის საბაკალავრო პროგრამაზე – 2389, სამაგისტრო პროგრამებზე – 355, სადოქტორო პროგრამებზე – 65.

ფაკულტეტის ფარგლებში წარმოდგენილი სამივე საფეხურის პროგრამები ხორციელდება დონორი ორგანიზაციების, დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტებიდან გაზიარებული სწავლების სტანდარტებისა და ადგილობრივი კვალიფიციური კადრების ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე.

***საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:*** პოლიტიკის მეცნიერება; ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (ქართულენოვანი და ქართულ-რუსულენოვანი პროგრამები); საერთაშორისო ურთიერთობები; საზოგადოებრივი გეოგრაფია; სოციალური მუშაობა; სოციოლოგია;

საბაკალავრო საფეხურზე საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების გარდა, ყველა მიმართულება სწავლების ძირითად სპეციალობასთან (major – 120 კრედიტი) ერთად, გთავაზობთ დამატებით (minor – 60 კრედიტი) სპეციალობებს, რომელთა კომბინირებაც სტუდენტის სურვილზეა დამოკიდებული. ასევე, გთავაზობთ დამატებით სპეციალობას გენდერის კვლევებში (minor – 60 კრედიტი).

***საბაკალავრო პროგრამებზე მიღების პროცედურები:*** საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე;

***ჩასაბარებელი საგნებია:*** ზოგადი უნარები; ქართული ენა; უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული); არჩევითი: ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა;

ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამებზე მიღება ხდება ცალკე, ხოლო ყველა სხვა პროგრამაზე საერთო მიღებაა და სტუდენტი სწავლის პერიოდში, თვითონვე განსაზღვრავს სწავლების ძირითად დარგს, ესენია – პოლიტიკის მეცნიერება, საზოგადოებრივი გეოგრაფია, სოციალური მუშაობა, სოციოლოგია.

***მისაღები კონტინგენტი:*** 2015-2016 სასწავლო წლის საბაკალავრო პროგრამებისთვის – 490.

***მისანიჭებელი კვალიფიკაცია/დასაქმება***: საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ფაკულტეტის კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის ხარისხი (Bacalaurus Artium) შესაბამის დარგში. ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს, მოქმედი პროგრამების დასრულების საფუძველზე მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად, ეძლევათ შესაძლებლობა დასაქმდნენ როგორც საჯარო და ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე არასამთავრობო და კერძო სექტორებში.

***დამატებითი ინფორმაცია***

***ფაკულტეტის რესურსები:*** ფაკულტეტს ემსახურება 61 პროფესორი, ასევე მოწვეული ადგილობრივი და უცხოელი პროფესორები. ფაკულტეტზე მოქმედებს: სტუდენტთა მომსახურების ცენტრი და 3 რესურს-ცენტრი. თითოეულ მიმართულებას ემსახურება 3-3 სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი, რომლებიც ყოველგვარ დახმარებას უწევენ სტუდენტებს.

***მულტიმედია-ცენტრი:*** თსუ მულტიმედია-ცენტრი, გაიხსნა 2013 წლის სექტემბერში და ემსახურება ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებას. ეს პროექტი ხორციელდება საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თანადაფინანსებით. მულტიმედია-ცენტრი აღჭურვილია უახლესი აპარატურით, რაც ხარისხიანი მედიაპროდუქტის წარმოების შესაძლებლობას იძლევა (http://multimedia.tsu.edu.ge/ka/centre). სტუდენტების მხარდაჭერა: ფაკულტეტი სტუდენტთა მხარდაჭერას უზრუნველყოფს სტაჟირების პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობით, საველე პრაქტიკებით, ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვით, რომელიც სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილია; საზღვარგარეთ სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებსა და მოდელირებულ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ხარჯების დაფარვით. ფაკულტეტის სტუდენტებს აქვთ საზღვარგარეთის სხვადასხვა

# სტუდენტური და სამეცნიერო ცხოვრება თსუ-ში

























# თსუ მეგზური – 2015

*პირველი გვერდიდან*

უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის გზით. ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტები ფინანსდებიან სახელმწიფო სტიპენდიით. სტუდენტებს სწავლის პერიოდში ეძლევათ სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. ფაკულტეტი აქტიურად უჭერს მხარს თავად სტუდენტების მიერ ინიცირებულ კონფერენციებსაც. ინგლისური ენის სწავლება: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სპეციალობების საჭიროებებიდან გამომდინარე, სავალდებულოა ინგლისური ენის შესწავლა, მიუხედავად იმისა, თუ რომელი უცხო ენა ჩააბარა სტუდენტმა მისაღებ გამოცდაზე. ფაკულტეტი ხელმძღვანელობს ინგლისური ენის სწავლების შედეგზე ორიენტირებული სისტემით, რაც გულისხმობს ინგლისური ენის B2 დონეზე ათვისებას.

***საკონტაქტო ინფორმაცია:***
მისამართი: 0179 თბილისი,
ჭავჭავაძის გამზ. №8, VI კორპუსი
ტელ: (+995 32) 2 29 05 94 (დეკანატი)
(+995 32) 2 25 17 35
(სასწავლო დეპარტამენტი)
(+995 32) 2 22 11 01 (233)
(სტუდენტთა მომსახურების ცენტრი)
ფაქსი: (+995 32) 2 29 05 94
http://www.tsu.edu.ge/ge/faculties/social/news/
https://www.facebook.com/groups/TSU.SOCPOL/

## ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

***ინფორმაცია ფაკულტეტის შესახებ:*** უნივერსიტეტში ეკონომიკური მეცნიერებისა და სპეციალობების განვითარება მისი დამაარსებლის – ივანე ჯავახიშვილის სახელთანაა დაკავშირებული. ეკონომიკის ფაკულტეტი დამოუკიდებელ სტრუქტურად 1931 წელს ჩამოყალიბდა 1922 წელს გახსნილი სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის ბაზაზე.

დღევანდელი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ჩამოყალიბდა უკანასკნელ წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმების შედეგად, ბოლონიის პროცესის შესაბამისად.

ფაკულტეტის მიზანია სისტემურობის და უწყვეტობის პრინციპებზე დაფუძნებული მაღალხარისხიანი, ხელმისაწვდომი და თანამედროვე დონის ეკონომიკური და ბიზნეს-განათლების უზრუნველყოფა, შრომის საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ეკოსტატისტიკური მონაცემების მიხედვით ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი ერთ-ერთი ლიდერია საქართველოში ყველაზე მაღალრეიტინგული პირველკურსელების რაოდენობის მიხედვით.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკებს, სტაჟირებას და თეორიული ცოდნის პრაქტიკით გამყარებას. ამ მიზნით იგი სხვადასხვა კერძო საწარმოსა თუ სახელმწიფო სტრუქტურასთან დებს ხელშეკრულებებს და აფორმებს მემორანდუმებს.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ამჟამად სწავლობს 5717 სტუდენტი, პროფესორთა რაოდენობაა 103.

***საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:*** ეკონომიკა; ბიზნესის ადმინისტრირება; ტურიზმი (თსუ ტურიზმის განვითარების ინსტიტუტი).

***მიღების პროცედურები:*** ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლების მოსაპოვებლად აბიტურიენტმა წარმატებით უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა; უცხო ენა; ზოგადი უნარები; მათემატიკა.

***მისაღები კონტინგენტი:*** ეკონომიკის პროგრამა – 400 (100%-იანი სახელმწიფო პროგრამული დაფინანსება); ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა – 370; ტურიზმის პროგრამა – 60.

***მისანიჭებელი კვალიფიკაცია/დასაქმება:*** ეკონომიკის ბაკალავრებსა და ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრებს შესაძლებლობა აქვთ დასაქმდნენ სახელმწიფო დაწესებულებებსა და კომერციულ სტრუქტურებში, კერძოდ, საქართველოს პარლამენტის აპარატში, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, მთავრობის კანცელარიაში, ეკონომიკური პროფილის სამინისტროებში, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მათ წარმომადგენლობებში, ეროვნულ და კომერციულ ბანკებში, კონტროლის პალატაში, საფონდო, სასაქონლო, სავალუტო და სხვა ეროვნულ ბირჟებზე, ნებისმიერ ორგანიზაციულ-სამართლებრივი საკუთრების მქონე საწარმოებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრებს ტურიზმში შეუძ ადმინისტრირების ბაკალავრებს ტურიზმში შეუძლიათ დასაქმდნენ: სპეციალიზებულ ტურ-ოპერატორ კომპანიებში, კურორტის მენეჯმენტის კომპანიებში, კონვენციებისა და ვიზიტორთა ბიუროს მენეჯერის, საჯარო სექტორისა და ეროვნული ტურიზმის ორგანიზაციებში, სასტუმრო ქსელებში საკვებისა და სასმელის მენეჯერის, საკონვენციო მენეჯერის, გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერის, ფრონტ-დესკის მენეჯერის, ოთახების განხრის მენეჯერის და სხვა პოზიციებზე.

***დამატებითი ინფორმაცია:*** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი სტუდენტებს სთავაზობს სამ საგანმანათლებლო პროგრამას შესაბამისი მოდულებით. ეკონომიკური პროგრამის მოდულები: ეკონომიკური პოლიტიკა; მაკროეკონომიკა; საერთაშორისო ეკონომიკა; მენეჯერული ეკონომიკა; ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა; ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა; შრომის ეკონომიკა.

***ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის მოდულები:*** საბუღალტრო აღრიცხვა; მარკეტინგი; მენეჯმენტი; ფინანსები და საბანკო საქმე; ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი; საერთაშორისო ბიზნესი; ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი.

***ტურიზმის პროგრამის მოდულები:*** ტურიზმის მენეჯმენტი, სასტუმროს მენეჯმენტი.

***ფაკულტეტის საერთაშორისო კავშირები.*** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებთან. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში და მოიპოვონ დაფინანსება ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, კვლევების წარმართვის მიმართულებით. ფაკულტეტი პერიოდულად იწვევს მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერებს და ისინი კითხულობენ ლექცია-სემინარებს ჩვენი სტუდენტებისათვის; პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ეწყობა ერთობლივი პროექტები; სამეცნიერო კონფერენციები და სემინარები. ფაკულტეტზე მოწვეული პროფესორის სტატუსით ლექციებს კითხულობს ცნობილი გერმანელი მეწარმე, ბავშვთა კვების მსოფლიოში ცნობილი ბრენდის "HIPP"-ის მფლობელი, თსუ საპატიო დოქტორი კლაუს ჰიპი. ამავე დროს, ყოველწლიურად, იგი თავად არჩევს 2-3 სტუდენტს და სრული დაფინანსების პირობებში იწვევს გერმანიაში, საკუთარ საწარმოში, საზაფხულო პრაქტიკის გასავლელად. ფაკულტეტზე არსებობს ეკონომიკური პოლიტიკის ქართულგერმანული ინსტიტუტი, რომელიც ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის ხელშეწყობით და გერმანიის აკადემიური ურთიერთგაცვლის სამსახურის DAAD-ის ფინანსური დახმარებით რეგულარულად უწევს ორგანიზებას ეკონომიკური პოლიტიკის ფორუმს "თბილისის ბალკონი", რომელშიც მონაწილეობას იღებენ გერმანიის, საქართველოს და სხვა ქვეყნების გამოჩენილი მეცნიერები და პრაქტიკოსი სპეციალისტები. ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი პერიოდულად ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სახის (მათ შორის საერთაშორისო) კონკურსებს, ბიზნეს ოლიმპიადებსა თუ სტუდენტურ კონფერენციებს. ასევე ჩვენი სტუდენტები ხშირად მონაწილეობენ საქართველოს თუ საერთაშორისო მასშტაბით გამართულ მსგავს ღონისძიებებში (ხშირ შემთხვევაში თსუ დაფინანსებით) საიდანაც ისინი, როგორც წესი, გამარჯვებულები ბრუნდებიან. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის განვითარების ინსტიტუტი მჭიდროდ თანამშრომლობს ნიდერლანდების საერთაშორისო მასპინძლობის მენეჯმენტის სასტუმრო სკოლასთან "ჰააგა" (Hotelschool The Hague), კომპანია "ტლპ"-თან, რომელიც ევროპაში ახორციელებს პროფესიული განვითარების, ტრენინგების და სასწავლო ტურებს, სამების სახელობის ტურიზმის მენეჯმენტის საერთაშორისო სკოლასთან (the Trinity International School of Tourism Management Crete, Greece), სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტთან (აშშ) და სხვ. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ძირითადი სპეციალობის (ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირება, ტურიზმი) სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ დამატებითი (მაინორი) სპეციალობა „ეკონომიკის" ან „ბიზნესის ადმინისტრირების" მიმართულებით. ასევე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი თსუ-ს სხვა ფაკულტეტების ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტს აძლევს დამატებითი „ეკონომიკის სპეციალობის" დაუფლების შესაძლებლობას. დამატებითი სპეციალობის დაუფლებისთვის პროგრამით გათვალისწინებულია 60 კრედიტის ათვისება სავალდებულო სასწავლო კურსების გათვალისწინებით.

***საკონტაქტო ინფორმაცია:***
მისამართი: უნივერსიტეტის ქ. №2,
თსუ X (მაღლივი) კორპუსი
ტელ: (+995 32) 2 30 36 71.
ვებ-გვერდი:
www.tsu.edu.ge/faculties/economics.
ელ.ფოსტა: economics@tsu.ge;
ფაქსი: (+995 32) 2 30 00 32

***თსუ ტურიზმის განვითარების ინსტიტუტი:***
მისამართი: უნივერსიტეტის ქ. №2,
თსუ X (მაღლივი) კორპუსი
ტელ: (+995 32) 2 30 47 22.
http://www.tsu.edu.ge/ge/research/institutes_centers/tourism/home/

## მედიცინის ფაკულტეტი

საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების ისტორია დასაბამს 1918 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან იღებს. 1919 წლის 9 აპრილს, პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, სამკურნალო ფაკულტეტი ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ფაკულტეტის სახით. ფაკულტეტმა უნივერსიტეტში არსებობა შეწყვიტა 1929-1930 სასწავლო წლის ბოლოს, როდესაც მის ბაზაზე შეიქმნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 1995 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღდგა უმაღლესი სამედიცინო განათლება. 2000 წლიდან მედიცინის ფაკულტეტი ფუნქციონირებს როგორც თსუ-ს დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული.

ფაკულტეტის მისიაა კურსდამთავრებულების (ექიმების) გამოშვება, რომლებიც იქნებიან: პროფესიონალები; დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პრინციპების, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის პრინციპების მფლობელნი, კომუნიკაბელურნი, მკვლევრები, ლიდერები; რომელთაც შეეძლებათ მეცნიერულ მტკიცებულებებზე დამყარებული, თანამედროვე, და მაღალი ხარისხის სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა; იმ ხარისხის მეცნიერული კვლევების განხორციელება, რომელიც წვლილს შეიტანს მეცნიერების განვითარებაში, ჯანდაცვის პოლიტიკის გამომუშავებაში და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

***საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:*** ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პრო-გრამა "მედიცინა" – (მისანიჭებელი ხარისხი "დიპლომირებული მედიკოსი" (ქართული და ინგლისურენოვანი პროგრამები));

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა "სტომატოლოგია" – (მისანიჭებელი ხარისხი "დიპლომირებული სტომატოლოგი");

საბაკალავრო პროგრამა "ოკუპაციური თერაპია" – (მისანიჭებელი ხარისხი "ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრი");

თსუ ერთადერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში, სადაც ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრის სპეციალობის მიღებაა შესაძლებელი.

***საბაკალავრო პროგრამებზე მიღების პროცედურები***: სავალდებულო გამოცდები: ზოგადი უნარები (კოეფიციენტი 4); ბიოლოგია ან მათემატიკა ან ქიმია (კოეფიციენტი 3); უცხო ენა (კოეფიციენტი 3); ქართული ენა და ლიტერატურა (კოეფიციენტი 2); (ადგილების კვოტა არჩევითი საგნების მიხედვით: 40 ბიოლოგია, 50 მათემატიკა, 10 ქიმია).

***მისაღები კონტინგენტი:*** 2015-2016 წლის საბაკალავრო პროგრამებზე – 170 (ქართულენოვან პროგრამებზე); 95 (ინგლისურენოვან პროგრამაზე)

***მიღებული კვალიფიკაცია-დასაქმების სფერო***: დიპლომირებულ მედიკოსს-სტომატოლოგს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში ან/და რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ან იმუშაოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრს შეუძლია იმუშაოს: ფიზიკური და ფსიქოსოციალური დახმარების სფეროს ფართო საზღვრებში, ყველა ასაკობრივი ჯგუფის უნარშეზღუდულ ადამიანებთან, იძულებით გადაადგილებულ პირებთან და სხვა მარგინალურ ჯგუფებთან.

***დამატებითი ინფორმაცია***: თსუ მედიცინის ფაკულტეტი სტუდენტებს სთავაზობს ევროპული სტანდარტების სასწავლო პროგრამას; სწავლებას საერთაშორისოდ აღიარებული თანამედროვე მეთოდებით; მონაწილეობას სამეცნიერო კვლევებში; მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში; საქართველოს საუკეთესო კლინიკების გამოცდილებას და მიღწევებს; უცხოელი ექსპერტებისა და მოწვეული პროფესორების საგანმანათლებლო კურსებს; ერთობლივ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტთან; აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებას. ლექციებს წაიკითხავენ საქვეყნოდ ცნობილი პროფესორები და სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან ფაკულტეტის სასწავლო-კლინიკურ ბაზებზე.

მედიცინის ფაკულტეტს საერთაშორისო თანამშრომლობა აქვს ისეთ ორგანიზაციებთან, როგორიცაა მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი, მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის გროსჰადერნის კლინიკა, ხემნიცის საუნივერსიტეტო კლინიკა, მაინცის უნივერსიტეტის სამედიცინო და სტომატოლოგიური ფაკულტეტები, ლუნდის უნივერსიტეტი, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი, ჯონს ჰოპკინის უნივერსიტეტი, ტრომსოს უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი, გრანადის უნივერსიტეტი, სან დიეგოს პალიატიური მზრუნველობის ინსტიტუტი და სხვ.

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე მოქმედებს მაგისტრატურის და დოქტორანტურის პროგრამები. რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომის შემდგომი განათლება (პროფესიული მზადება) – უმაღლესი სამედიცინო განათლების დიპლომის შემდგომი საფეხურია; იგი წარმოადგენს სასწავლო პროგრამებისა და პრაქტიკული საექიმო საქმიანობის ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს დადგენილ ვადაში ერთ-ერთ საექიმო სპეციალობაში პროფესიულ მომზადებას.

***საკონტაქტო ინფორმაცია:***
მისამართი: 0159, თბილისი,
საქართველო, ჭიაურელის ქ. №2;
ტელ: (+995 32) 2 91 31 25;
ფაქსი: (+995 32) 2 54 08 23.
ელ. ფოსტა: medicine@tsu.ge
ვებ-გვერდი:
http://www.tsu.edu.ge/ge/faculties/medicine
https://www.facebook.com/groups/171375696404085/

## იურიდიული ფაკულტეტი

***ინფორმაცია ფაკულტეტის შესახებ:*** თსუ იურიდიული ფაკულტეტი – პირველი იურიდიული ფაკულტეტი კავკასიაში – დაარსდა 1918 წლის 3 სექტემბერს; ამჟამად იურიდიულ ფაკულტეტს ჰყავს 5000-მდე სტუდენტი; 80 პროფესორი. იურიდიული პროფესიების წარმომადგენელთა ეს რაოდენობა პირდაპირ მეტყველებს ამ სკოლის მნიშვნელობაზე ქართული იურიდიული საზოგადოებისათვის. განათლების ბაზარზე მოთხოვნის, სწავლების ხარისხის, კურსდამთავრებულთა დასაქმების, საერთაშორისო სამეცნიერო-აკადემიური კონტაქტით თუ სხვა მაჩვენებლებით ჩვენი ფაკულტეტი ლიდერია. იურიდიული ფაკულტეტი წარმოადგენს თსუ საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის ფარგლებში ახორციელებს სასწავლო პროგრამებსა და კვლევებს სამართლის მიმართულებით.

***საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:*** სამართლის; საერთაშორისო სამართლის.

***საბაკალავრო პროგრამებზე მიღების პროცედურები:*** საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების უფლებით სარგებლობენ ერთიანი ეროვნული გამოცდების წესით ჩარიცხული აბიტურიენტები.

***საგნები:*** უცხო ენა; უნარები; ქართული; დამატებითი საგანი (მათემატიკა, ისტორია ქართული ლიტერატურა*).

* შენიშვნა: ლიტერატურა ბარდება მხოლოდ სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე და არა საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე.

***მისაღები კონტინგენტი:*** საბაკალავრო პროგრამებზე 2015-2016 სასწავლო წელს ფაკულტეტის მისაღები კონტინგენტი იქნება: სამართალი – 440; საერთაშორისო სამართალი – 50.

***მიღებული კვალიფიკაცია/დასაქმება:*** სამართლისა და საერთაშორისო სამართლის სპეციალობების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ფლობს იურისტის პროფესიის შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს; სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური 2 ხარისხი და

# თსუ მეგზური – 2015

*პირველი გვერდიდან*

არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარება. ამავე დროს, იგი უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პროგრამით, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევრის მომზადებაზე. საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ, იმუშაონ საქართველოს საგარეო პოლიტიკის შიდა (საგარეო საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, პარლამენტის აპარატი, და სხვ.) და საგარეო (საელჩო, საკონსულო) ორგანოებში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივ სექტორში. საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანოებში მუშაობის პარალელურად შესაძლებლობა აქვთ საქართველოს საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებში, საქართველოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებში მუშაობისა.

***დამატებითი ინფორმაცია:*** სამართლის პრაქტიკული სწავლება ხორციელდება შემდეგ კლინიკებში: უზენაესი სასამართლოს კლინიკა; საქალაქო სასამართლოს კლინიკა; სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადების კლინიკა სააპელაციო სასამართლოში; საკონსტიტუციო სასამართლოს კლინიკა; სააპელაციო სასამართლოს კლინიკა; ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის კლინიკა; მერიის იურიდიული დახმარების პროგრამის ფარგლებში არსებული საადვოკატო კლინიკა; მერიის იურიდიული დახმარების პროგრამის ფარგლებში არსებული მედიაციის კლინიკა; აღსრულების ეროვნული ბიუროს კლინიკა; გარემოს დაცვის სამართლის კლინიკა; სასჯელაღსრულების კლინიკა; ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კლინიკა; ცენტრალური საარჩევნო კომისიის კლინიკა; საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის კლინიკა; საქპატენტის კლინიკა; პრაქტიკული სამართლის კლინიკა; “მარგველაშვილი, რეალ ქონსალთინგის“ საადვოკატო კლინიკა; ერისთავის იურიდიული ჯგუფის საადვოკატო კლინიკა; იურიდიული დახმარების სამსახურის კლინიკა; იურიდიული ფირმა “BLC” საადვოკატო კლინიკა; იურიდიული ფირმა “მგალობლიშვილი ყიფიანი ძიძიგურის“ საადვოკატო კლინიკა; კორძაძის საადვოკატო ბიუროს კლინიკა, საადვოკატო და საარბიტრაჟო კლინიკა; სამართლებრივი დახმარების ცენტრი “საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ კლინიკა. ფაკულტეტზე მოქმედებს იმიტირებული პროცესების დარბაზი: აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტისა და საქართველოში აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით შექმნილი დარბაზი აღჭურვილია ყველა იმ შესაძლებლობით, რომელიც სასამართლო პროცესის სიმულაციას, როგორც იურიდიული განათლების ერთ-ერთ ძირითად ატრიბუტს უნდა გააჩნდეს. იგი ერთგვარ უნივერსალურ მოდელზეა აგებული, რაც ადგილობრივი რაიონული სასამართლოდან დაწყებული, საერთაშორისო სასამართლო ტრიბუნალის ჩათვლით, ყველა სახის სასამართლო პროცესის იმიტაციის საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, ტექნიკური თვალსაზრისით, აქ შესაძლებელია სასამართლო პროცესის ყველა ეტაპის უზრუნველყოფა შემდეგი ფუნქციებით: სასამართლო სხდომის ელექტრონული მართვა; წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების ელექტრონული პრეზენტაციადაფიქსირება; ვიდეოგადაღება (გამოსახულებითი და ხმოვანი ჩაწერა) და ვიდეოჩანაწერის ანალიზი; მაღალი ვიზუალური ეფექტი სასამართლო პროცესის ყველა მონაწილისათვის. სასწავლო დანიშნულებით ამ დარბაზს ანალოგი არ მოეძებნება.

***ტრადიციულად წარმატებული სტუდენტობა:*** იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები მონაწილეობენ როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო კონკურსებსა თუ შეჯიბრებებში. მიღწეული წარმატებების რაოდენობა სარეკორდოა. ჩვენი სტუდენტები ყოველთვის იკავებენ საპრიზო ადგილებს, რაც მეტყველებს მათი მომზადების მაღალ დონეზე, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებში.

***საკონტაქტო ინფორმაცია:***
მისამართი: 0128, თბილისი,
ი. ჭავჭავაძის გამზ. №3, II კორპუსი;
ტელ: (+995 32) 2 29 05 96
(სტუდენტთა მომსახურების ცენტრი);
(+995 32) 2 29 08 41 (კანცელარია).
ელ. ფოსტა: law@tsu.ge
ვებ-გვერდი:
www.tsu.edu.ge/ge/faculties/law/;
www.facebook.com/TSU.Faculty.of.Law.

## ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

***ინფორმაცია ფაკულტეტის შესახებ:*** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფსიქოლოგიის კათედრა მისი დაარსებისთანავე – 1918 წელს შეიქმნა დიმიტრი უზნაძის ხელმძღვანელობით. აქ შეიქმნა და დამუშავდა მსოფლიოში ცნობილი დ. უზნაძის განწყობის თეორია და საფუძველი ჩაეყარა ე.წ. ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლას. ფსიქოლოგიის კათედრა დამოუკიდებელი ფაკულტეტის სახით 1990 წელს დაფუძნდა. 2004 წელს ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, ხუთ სხვა სამეცნიერო დარგთან ერთად, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში გაერთიანდა. ამ ფაკულტეტის ფარგლებში ის ჯერ დეპარტამენტის, ხოლო 2007 წლიდან ფსიქოლოგიის მიმართულების სახით ფუნქციონირებდა. პედაგოგიკური მეცნიერება უნივერსიტეტში თითქმის მისი დაარსების დღიდან არსებობს. 1919 წლიდან უნივერსიტეტში დიმიტრი უზნაძის ხელმძღვანელობით ფუნქციონირებდა “საპედაგოგიო ინსტიტუტი“. 2014 წლის ოქტომბერში, ფსიქოლოგიის მიმართულება გამოეყო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, ხოლო პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი კი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, რომელთა გაერთიანების საფუძველზეც ჩამოყალიბდა ახალი – ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი. ამჟამად, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე სწავლობს 1400-მდე სტუდენტი (სწავლების სამივე დონეზე), რომელთა განათლებასაც ემსახურება 60-მდე პროფესორი, ფაკულტეტზე ხორციელდება 4 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და 15-მდე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა.

***საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:*** ფსიქოლოგია: სოციალური ფსიქოლოგია; კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგია; შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია; განათლების ფსიქოლოგია; პიროვნების და კლინიკური ფსიქოლოგია; კონფლიქტების ანალიზი და მართვა.

***დამატებითი პროგრამა (Minor):*** ფსიქოლოგია.

***განათლება:*** დაწყებითი განათლება.

***დამატებითი პროგრამა (Minor):*** პედაგოგიკა.

***საბაკალავრო პროგრამებზე მიღების პროცედურები:*** ფსიქოლოგიისა და დაწყებითი განათლების პროგრამებისათვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სავალდებულო საგნებია: ქართული ენა (კოეფიციენტი 3); ზოგადი უნარები (კოეფიციენტი 4); უცხო ენა (კოეფიციენტი 3).

ფსიქოლოგიის სპეციალობის არჩევის მსურველი აბიტურიენტებისთვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევითი საგნებია: მათემატიკა; ისტორია; ლიტერატურა; ბიოლოგია; გეოგრაფია. (ყველა არჩევითი საგნის კოეფიციენტია 2).

განათლების სპეციალობის არჩევის მსურველი აბიტურიენტებისთვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევითი საგნებია: მათემატიკა; ლიტერატურა; ისტორია; (ყველა არჩევითი საგნის კოეფიციენტია 2).

***მისაღები კონტინგენტი:*** 2015-2016 წლის სასწავლო წლის საბაკალავრო პროგრამებისთვის: ფსიქოლოგიის მიმართულება – 145; დაწყებითი განათლება – 25.

***მისანიჭებელი კვალიფიკაცია/დასაქმება:*** ფსიქოლოგიის მიმართულების ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ სტუდენტები იღებენ სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხს ფსიქოლოგიაში. მომავალი ფსიქოლოგების დასაქმების პერსპექტივა მრავალფეროვანია. დასაქმების ბაზარზე დღეს დიდი მოთხოვნაა ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერსა და ორგანიზაციულ ფსიქოლოგზე, სკოლის ფსიქოლოგზე, განათლების ფსიქოლოგზე, ნეიროფსიქოლოგზე, ფსიქოლოგ-კონსულტანტზე, სოციალურ მეცნიერებაში კვლევის სპეციალისტზე და სხვ. ფსიქოლოგები წარმატებით საქმდებიან სკოლებში, კლინიკებში, საჯარო და კერძო ორგანიზაციებში. განათლების მეცნიერებათა მიმართულების ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ სტუდენტები იღებენ განათლების ბაკალავრის ხარისხს. პროგრამა ამზადებს I-VI კლასების მასწავლებელს და VII XII კლასების შესაბამისი დარგის მასწავლებელს. საბაკალავრო პროგრამის – დაწყებითი განათლება – კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია: მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ბუნებისმცოდნეობის და მათემატიკის მასწავლებელი – დაწყებითი საფეხური (I-VI კლასები); საქართველოს ისტორიის, სამოქალაქო განათლების და საქართველოს გეოგრაფიის მასწავლებელი – დაწყებითი საფეხური (V-VI კლასები); საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი; განათლების საკითხებით დაკავებული არასამთავრობო სექტორი.

***დამატებითი ინფორმაცია:*** ფაკულტეტს გააჩნია სასწავლო და სამეცნიერო ლაბორატორიები, კომპიუტერული ცენტრი, ბიბლიოთეკა, მატერიალური და ფინანსური რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მაღალ დონეს.

***საკონტაქტო ინფორმაცია:***
მისამართი: 0179, თბილისი,
ჭავჭავაძის გამზ. №11ა, III კორპუსი
ტელ: (+995 32) 2 29 08 32 (დეკანატი);
ტელ: (+995 32) 2 22 44 69
(სასწავლო დეპარტამენტი);
ვებ-გვერდი:
http://www.tsu.edu.ge/ge/faculties/psychology/

# კულტურა და სპორტი თსუ-ში



თსუ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ აქტიურად ჩაერთონ უნივერსიტეტის სპორტულ და კულტურულ ცხვრებაში. საუნივერსიტეტო დაფინანსება და მხარდაჭერა მათ საკუთარი ნიჭის გამოვლენის უნიკალურ შესაძლებლობებს აძლევს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურული ცხოვრება 1928 წლიდან იწყებს ათვლას, როდესაც უნივერსიტეტში „სტუდენტური თეატრი“ დაარსდა, შემდეგ იყო „ვაჟთა ვოკალური ანსამბლი“, ქორეოგრაფიული ანსამბლი, მოგვიანებით შეიქმნა ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი 2“, გოგონათა ვოკალური და გოგონათა ხალხური სიმღერის ანსამბლები. თანამედროვე ცეკვების ჯგუფი, ბენდი TSU-ART, მან-სან-კანი კი თანამედროვე თსუ-ს ისტორიაა.

უნივერსიტეტში კიდევ უფრო ადრეულ წლებში დაიწყო სპორტული ცხოვრება. 1918 წლის 25 აგვისტოს, პროფესორ გიორგი ნიკოლაძის თაოსნობით, საქართველოში პირველად, შეიქმნა სატანვარჯიშო სპორტული საზოგადოება „შევარდენი“. ჩამოყალიბდა ათლეტიზმის, ალპინიზმის, კალათბურთის, მშვილდოსნობის, ფრენბურთის, მკლავჭიდის, მაგიდის ჩოგბურთის, ფუტსალის და ხელბურთის გუნდები, რომლებმაც წარმატება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც მოიპოვეს. ცოდნის დაუფლების პარალელულად, კულტურული და სპორტული ცხოვრება თსუ-ში დღესაც პრიორიტეტულად ითვლება. ამჟამად უნივერსიტეტში ფუნქციონირებს: მაგიდის ჩოგბურთის, მშვილდოსნობის, ვაჟ და ქალ ფრენბურთელთა, ათლეტიზმის და მკლავჭიდის სექციები. თსუ-ს ჰყავს ფუტსალის, კალათბურთის და ხელბურთის ძლიერი სტუდენტური ნაკრებები, რომლებიც წარმატებით ასპარეზობენ სხვადასხვა უნივერსიადებსა და სტუდენტურ ჩემპიონატებზე. ალპინიზმთა კლუბი, რომელსაც 92 წლიანი ტრადიცია გააჩნია, ყოველ სასწავლო წელს ორჯერ აწყობს ალპინიადებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს კულტურულ-შემოქმედებითი წრეები: „თსუ გორდელა“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი“, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტი“, თეატრალური დასი „სხვენი“, თსუ მუსიკალური ბენდი „თსუ არტი“, მხიარულთა და საზრიანთა კლუბი, თანამედროვე და ხალხური ცეკვების სექციები, სადაც ნებისმიერ, შესაბამისი ნიჭის მქონე სტუდენტს შეუძლია გაწევრიანება. როგორც ირაკლი ხარჯევანიძე აღნიშნავს, თსუ მუდმივად ცდილობს სტუდენტების კულტურული და სპორტული ცხოვრების დახვეწას და გამრავალფეროვნებას. წელსაც, ახალი სასწავლო წლის დაწყებას კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი სიახლეებით შეხვდა და სტუდენტებს შესთავაზა ახალი სექციები და განახლებული ინფრასტრუქტურა. „ფეხბურთი ერთ-ერთი მაღალმოთხოვნადი სპორტის სახეობაა თსუ სტუდენტებს შორის. სტუდენტები ინტენსიურად იყენებენ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში არსებულ საფეხბურთო მოედანს. ამიტომ, მიმდინარე წლის ზაფხულში გადაწყდა მოედნის განახლება, შეიცვალა მოედნის საფარი და უფრო მაღალი ხარისხისა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე დამზადებული ხელოვნური ბალახი დაიგო“ – ამბობს დეპარტამენტის ხელმძღვანელი. გარდა ამისა, ახალი სასწავლო წლისთვის გარემონტდა მშვილდოსნობის სექციის დარბაზიც, განახლდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სექცია მზადაა სრულად დააკმაყოფილოს სტუდენტთა სპორტული ინტერესი. გააქტიურდა მაღლივი კორპუსის სპორტული კომპლექსის საქმიანობა, ახალი სასწავლო წლის დაწყებისას მაღლივი კორპუსის სპორტულ დარბაზში გაიხსნება ჭადრაკის სექცია. ირაკლი ხარჯევანიძის თქმით, ჭადრაკი დიდ ინტერეს იწვევს სტუდენტთა შორის და უნივერსიტეტი ყოველთვის მზადაა გაითვალისწინოს მათი მოთხოვნები და ინტერესები. სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, გაფართოვდა მაგიდის ჩოგბურთის სექცია, გარემონტდა დარბაზი და გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მიმდინარე სასწავლო წელს მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე იგეგმება ქუჩის კალათბურთის მოედნის მოწყობა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს სტუდენტთა მოთხოვნას. სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პარალელულად, უნივერსიტეტის მეორე კურპუსში თანამედროვე და ხალხური ცეკვების დარბაზში დაიგო ახალი იატაკი, რაც სტუდენტებს უფრო მეტ სტიმულს მისცემთ, ჩაერთონ ცეკვის წრეებში. მნიშვნელოვანი მუშაობა მიმდინარეობს სპორტულ და ხელოვნების წრეებშიც, რადგან ეს გუნდები მონაწილეობიას იღებენ, არა მხოლოდ საუნივერსიტეტო ღონისძიებებში, ისინი თსუ-ს სახელით ასპარეზობენ ქვეყნისა და საერთაშორისო ასპარეზზე.



# თსუ მუზეუმი



*თსუ მუზეუმი, გეოგრაფიის ექსპოზიცია*



*თსუ მუზეუმი, არქეოლოგიის ექსპოზიცია*

სამუზეუმო საქმიანობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ უნივერსიტეტის დაფუძნებამდე, ნიკო ცხვედაძის თაოსნობით აშენებულ სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში, ბინა დაიდო წერა-კითხვის გამავრცელებელმა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომლებსაც უმდიდრესი სამუზეუმო კოლექციები ჰქონდათ. 1919 წელს, გიორგი ჩუბინაშვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობას და შესთავაზა უნივერსიტეტში ხელოვნების კაბინეტის ან მუზეუმის მოწყობის გეგმა. მეცნიერის მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ იმ დროისათვის უნივერსიტეტში თავი მოიყარა უნიკალურმა ისტორიულ–მხატვრული ღირებულების მქონე ნივთებმა. 1921 წელს, საქართველოს საეკლესიო სიძველეთა მუზეუმი ქართულ უნივერსიტეტს გადმოეცა. იმ დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში, საეკლესიო სიძველეთა მუზეუმის ექსპონატებთან ერთად, მრავლად იყო საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და ხელოვნების ნიმუშები. მუზეუმისათვის შეირჩა უნივერსიტეტის შენობაში არსებული გაუქმებული სამლოცველო, სადაც 1924 წლიდან განთავსდა ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი. 1925 წელს, განსახკომის განკარგულებით, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის კოლექციებიც უნივერსიტეტს გადმოეცა. უნივერსიტეტის მესვეურებმა, უნივერსიტეტის დაფუძნებისთანავე, პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, სხვადასხვა პროფილის კოლექციის შეგროვება დაიწყეს. ამ საშვილიშვილო საქმეში მათთან ერთად მონაწილეობდნენ პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. შეიძინეს ცნობილი ფოტოგრაფის დ. ერმაკოვის ფოტოების ნეგატივები და ენტომოლოგიური კოლექცია (63 000 ეგზემპლარი), კავკასიის რელიეფური რუკები, მინერალების კოლექცია... ეს ტრადიცია კვლავ გრძელდება. უნივერსიტეტის ამჟამინდელი მუზეუმი 2008 წელს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა და მანამდე არსებული სამუზეუმო სტრუქტურები და ის კაბინეტები გააერთიანა, რომლებიც სამუზეუმო ფასეულობებს ფლობდნენ, მათ შორის იყო უნივერსიტეტში არსებული ვაჟა-ფშაველას კაბინეტი საკუთარი მდიდარი სამუზეუმო ფონდით, რომელიც ცნობილი ქართველი მხატვრების ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებს მოიცავდა. საბოლოოდ მუზეუმი ისტორიის, არქეოლოგიის, ზოოლოგიის, მინერალოგიის, პალეონტოლოგიისა და ემიგრაციის ფონდების სახით ჩამოყალიბდა.

მუზეუმის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს: სამუზეუმო ექსპონატების მოძიება, დაცვა, ექსპონირება, სამუზეუმო კოლექციების ოპტიმიზაცია-რესტავრაცია. თსუ მუზეუმის მიზანია ამ პროცესში სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართვა.

## არქეოლოგიის მუზეუმი

არქეოლოგიის მეცნიერებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისთანავე მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა, რომლის სათავეში ექვთიმე თაყაიშვილი იდგა. ამ დღიდან მოყოლებული, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენასა და შესწავლაში უნივერსიტეტში მოღვაწე არაერთი თაობის მეცნიერ-პროფესორი და სტუდენტი მონაწილეობდა. მათ მიერ მოპოვებული მრავალრიცხოვანი არტეფაქტები ზოგადად ქართულ კულტურას ნათლად წარმოაჩენენ და განვითარების იმ უწყვეტ ჯაჭვს ასახავენ, რომლითაც საქართველომ მსოფლიო ცივილიზაციაში სათანადო ადგილი დაიკავა. 1967 წელს, უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტის არქეოლოგიის კათედრასთან, დაარსდა არქეოლოგიის კაბინეტი, რომლის ბაზაზეც 2007 წელს, უნივერსიტეტის სამუზეუმო გაერთიანებაში შემავალი არქეოლოგიის მუზეუმი შეიქმნა. არქეოლოგიის მუზეუმის ექსპოზიცია ქვის ხანიდან გვიან შუა საუკუნეებამდე პერიოდს მოიცავს. აქ წარმოდგენილ მრავალრიცხოვან არტეფაქტებს არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთლიანად კავკასიისა და წინა აზიის უძველესი და ძველი ისტორიის გაშუქებისთვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

## გეოგრაფიის მუზეუმი

გეოგრაფიული მეცნიერების სწავლებასა და კვლევას უნივერსიტეტის დაარსებიდანვე ჩაეყარა საუძველი. მის სათავეში იდგნენ, აკადემიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილი და პროფესორი გიორგი გეხტმანი. 1958 წლის ივნისში, უნივერსიტეტში მოეწყო ლანდშაფტმცოდნეთა მესამე საკავშირო კონფერენცია. კონფერენციისთვის ქართველმა მეცნიერებმა 13 მოხსენება მოამზადეს და უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დერეფანში გამოფენა მოაწყვეს. აქ წარმოდგენილი იყო ქართველ მეცნიერთა მიერ შექმნილი რუკები, სამეცნიერო შრომები და ფოტოები. ამ გამოფენის ბაზაზე, გეოგრაფთა თათბირმა თსუ-ში გეოგრაფიის მუზეუმის დაარსება გადაწყვიტა. სულ მოკლე ხანში, 1958 წლის 1 სექტემბერს, უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე გეოგრაფიის მუზეუმი დაარსდა, რომელიც გეოგრაფიული საზოგადოების მიერ გადმოცემული და ქართველ მეცნიერთა მიერ მოპოვებული მასალებით შეივსო.

გეოგრაფიის ფონდის კოლექციებიდან გამოსარჩევია დიდი ქართველი მამულიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის ნაქონი, 1711 წელს გერმანიაში გერმანულ ენაზე დაბეჭდილი, მსოფლიო ატლასი. გეოგრაფიის ფონდში ინახება ალექსანდრე ჯავახიშვილის ინიციატივით შედგენილი კავკასიის რელიეფური რუკა. აქვეა დაცული კავკასიისა და სხვა მხარეების რელიეფური რუკებიც. გეოგრაფიის ფონდში გვხვდება უნიკალური ფოტომასალა, რომელიც ეთნოგრაფიულ ყოფასა და ანთროპოლოგიურ ტიპებს ასახავს. აქვეა მოთავსებული კულტურულ-ისტორიული ღირებულების მქონე კარტოგრაფიული მასალებიც.

## ზოოლოგიის მუზეუმი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის მუზეუმი აკადემიკოს ნიკო კეცხოველის მიერ 1946 წელს ჩამოყალიბდა. ამჟამად, ზოოლოგიის მუზეუმის ექსპოზიცია 5000–მდე სადემონსტრაციო ეგზემპლარს ითვლის. აქ წარმოდგენილია: უნიკალური მარჯნის პოლიპები, პეპლები, ხოჭოები, მოლუსკები, ამფიბიები, ქვეწარმავლები, ფრინველები, ძუძუმწოვრები. მუზეუმში სტუდენტებს, სკოლის მოსწავლეებსა და სხვა დამთვალიერებლებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ ცხოველთა სამყაროს მრავალფეროვნებას, მათ შინაგან აგებულებასა და ემბრიონული განვითარების თავისებურებებს. მუზეუმში წარმოდგენილი ფრინველთა კოლექცია უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ იგი საქართველოში ბინადარ და გადამფრენ ფრინველთა ყველა სახეობას მოიცავს.

## მინერალოგიის მუზეუმი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალოგიის მუზეუმი 1919 წელს პროფესორმა ალექსანდრე თვალჭრელიძემ დააარსა. იგი კოლექციების უნიკალურობითა და მრავალფეროვნებით არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ სამხრეთ კავკასიაში ერთადერთია. მუზეუმში განთავსებულია, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ყოფილი სსრკ-სა და ევროპის ქვეყნებიდან, აგრეთვე კერძო პიროვნებებისაგან შეძენილი და საჩუქრად მიძღვნილი დაახლოებით 10000-მდე ექსპონატი.

## პალეონტოლოგიის მუზეუმი

გამოჩენილი მეცნიერის, აკადემიკოს ალექსანდრე ჯანელიძის ხელმძღვანელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრაზე შეიქმნა პალეონტოლოგიის მუზეუმი. 1924 წელს კათედრის ჩამოყალიბებაც მის სახელს უკავშირდება. პალეონტოლოგიის მუზეუმის შევსება რეგიონში შეგროვებული ნამარხი ორგანიზმების კოლექციების ხარჯზე მოხდა. მათი მცირე ნაწილი ჩამოტანილია ჩრდილოეთ კავკასიის (ძირითადად დაღესტნის), ამიერკავკასიის, საფრანგეთისა და ესპანეთის რეგიონებიდან.

## უნივერსიტეტის ისტორიის მუზეუმი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის მუზეუმი 1986 წლის 4 დეკემბერს დაარსდა. ფონდებში დაცულია 5000 სამუზეუმო ექსპონატი, რომელთა შორისაცაა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნებასა და განვითარებასთან დაკავშირებული უნიკალური ფოტომასალა, ხელნაწერები, გამოცემები; უნივერსიტეტის დამაარსებელთა მემორიალური ნივთები; თანამედროვე გამოჩენილი მხატვრების ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები. უნივერსიტეტისათვის საიუბილეოდ გადმოცემული საჩუქრები, უნივერსიტეტის გამოჩენილი პროფესორების პირადი ფონდები და სხვ.

## ქართული ემიგრაციის მუზეუმი

1994 წლის 10 ოქტომბერს, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის გახსნასთან დაკავშირებით, თსუ-ში ქართული ემიგრაციის მუზეუმი დაარსდა. მუზეუმი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გურამ შარაძის პირადი ფონდის ბაზაზე გაიხსნა. იგი მოიცავს 1981 წლიდან მის მიერ მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტიდან ჩამოტანილ ემიგრანტულ უნიკალურ წიგნებს, პერიოდულ გამოცემებს, ქართველ ემიგრანტთა პირად ფოტოებს, აუდიო და ვიდეო არქივებს, რადიო „თავისუფლების“ გადაცემების აუდიობაბინებს, გამოჩენილ ემიგრანტთა მემორიალურ ნივთებს, ფერწერულ ტილოებს, ვიქტორ ნოზაძის ცნობილ პარიზულ ქართულ სტამბას და სხვ.

# „თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული „საბავშვო უნივერსიტეტის“ მიერ განხორციელებული პროექტები სკოლის მოსწავლეთათვის უნივერსიტეტის გასაცნობად ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მარტივი საშუალებაა.

უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, მოსწავლეებში მეცნიერებისა და სწავლისადმი ინტერსის გაღვივებაა. საამისოდ „საბავშვო უნივერსიტეტის“ მიერ ბევრი სხვადასხვა სახის აქტივობა ხორციელდება.

„საბავშვო უნივერსიტეტში“ აქტიურად ფუნქციონირებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ნორჩ ეკონომისტთა, ნორჩ იურისტთა, ნორჩ ასტრონომთა, ნორჩ ფიზიკოსთა, ნორჩ ქიმიკოსთა და, ნორჩ გეოგრაფთა სკოლები, ასევე, მათემატიკის სკოლა „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ“ და სხვა.

თსუ საბავშვო უნივერსიტეტის კოორდინატორის, რექტორის მრჩეველის, დოქტორ მარინა ლომოურის შეფასებით, ხშირად საბავშვო უნივერისტეტის ერთ-ერთ სკოლაში ლექციაზე მოსული უფროსკლასელი მისთვის საინტერესო სხვა მიმართულებების შესახებ იგებს ინფორმაციას, და სხვადასხვა აქტივობებში ერთვება. ის ლაბორატორიული მეცადინეობები და ლექციები კი, რაც საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში თსუ პროფესორების მიერ სკოლის მოსწავლეებისთვის ტარდება, თავის თვალსაჩინოების გამო მომავალი აბიტურიენტებისთვის ერთდროულად ცნობისწადილის აღმძვრელი და სტიმულის მიმცემიც არის, საიმისოდ, რომ რაიმე მეცნიერებით უფრო აქტიურად დაინტერესდენ.

უნივერსიტეტის მიერ და მის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებს შორისაა „ნორჩთა სკოლის“ ლექციები, ლაბორატორიული მეცადინეობები, კონფერენციები, კონკურსები, ზამთრის და ზაფხულის სკოლები და ა.შ.

„საბავშვო უნივერსიტეტის“ ღონისძიებებში ჩართვა ნებისმიერ მსურველს უსასყიდლოდ შეუძლია. უბრალოდ, სასურველ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად სკოლა ან მშობელი პროგრამის კოორდინატორს, „საბავშვო უნივერსიტეტს“ უნდა დაუკავშირდეს. ეს ელფოსტის: junior@tsu.ge, საშუალებითაც არის შესაძლებელი. უფრო დეტალური ინფორმაციის მიღება კი დაინტერესებულს ვებ - გვერდის junior.tsu.edu.ge, ან ფეისბუკის გვერდის: facebook.com /თსუ საბავშვო უნივერსიტეტი/ შეუძლიათ.

თბილისში გამართული ნორჩთა სკოლის ლექციების გარდა, „საბავშო უნივერსიტეტის“ ფარგლებში რეგიონებში, როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლის მოსწავლეებთან არაერთი შეხვედრა იმართება.

„საბავშვო უნივერსიტეტის“ პროგრამების კოორდინატორის, გიორგი გრიგოლაშვილის თქმით, სხვადასხვა ფორმატით განხორციელებულმა ღონისძიებებმა უკვე მთელი საქართველო მოიცვა. სკოლის მოსწავლეებთან, თუ მათ მშობლებთან შეხვედრისას ისინი მათთვის მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდებას ცდილობენ როგორც უნივერსიტეტში განათლების მხრივ არსებული შესაძლებლობების, ისე სტუდენტური ცხოვრებისათვის საჭირო დეტალების შესახებ.

10-13 თებერვალს საბავშვო უნივერსიტეტის მიერ გამართული ღია კარის დღეები თსუ იუბილეს მიეძღვნა. მასზე დამსწრე თბილისის თუ რეგიონის კერძო და საჯარო სკოლის ყველა მოსწავლეს, მასწავლებელს, მშობელს და დაინტერესებულ პირს, საშუალება ჰქონდა მათთვის საინტერსო თემაზე მიეღო ინფორმაცია და ლექციებსაც დასწრებოდა. დამსწრეთა შორის ერთ-ერთი ქობულეთიდან სპეციალურად ორი დღით ლექციაზე დასასწრებად ჩამოსული სკოლის მოსწავლეებიც იყვნენ.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge